




ხაშურის მთაშენი



№26 (57)

11 ივლისი, ორშაბათი, 2016 წელი


იქმნება, ემატება, შენდება, ლამაზდება...

თანამედროვე სამედიცინო აპარატურა - სურამის პოლიკლინიკას



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირინე გელაშვილის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, დაბა სურამის პოლიკლინიკაში ჯანდაცვის სამინისტროს საჩუქარი - თანამედროვე ექოსკოპიის აპარატი ჩამოიტანეს. ამიერიდან სურამლები და დამსვენებლები ადგილზე ჩაიტარებენ კვალიფიციურ სამედიცინო გამოკვლევებს.

ქადაქს ახალი სპორტული მოედანი შეემატება



მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ხაშურში, ე.წ. შინდარის დასახლებაში, სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალიანსი+2007“ ასრულებს და 2016 წლის სექტემბრის ბოლოსთვის, ადგილობრივი მაცხოვრებლები ახლადამშენებული სპორტული მოედნით ისარგებლებენ.

ადვისში სანიაღვრე არხები მოწესრიგდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, სოფელ ქვემო ადვისში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები მიმ-



დინარეობს. ძლიერი წვიმის დროს მოსახლეობა იტბორებოდა და საფრთხე ექმნებოდა, ამჯერად კი სანიაღვრე არხები, რომელთა მოწყობა, 2016 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება, მათ საყოფაცხოვრებო პირობებს გააუმჯობესებს.

სურამში კანალიზაციის ქსელი ფართოვდება

ციხის უბნის კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.



მდინარე ადიდების დროს აღარ იქნება საშიში

მდინარე ტილიანა მცირე მდინარეების კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ გაზაფხულის წყალდიდობებზე მას ბევრჯერ დაუზარალებია ადგილობრივი მოსახლეობა. ცოცხნარის აღმინისტრაციულ ერთეულში შემაგად მოსახლეობას ბევრჯერ დაუყენებია ეს საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე.



მაგრამ, ფაქტია, მათი თხოვნისთვის არავის უგდია ყური. წელს კი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის გიორგი გურასპაშვილის უშუალო ინიციატივით ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა და ამ მდინარისგან საშიშროება აღარ იქნება.

-20 ათასი ლარი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ცოცხნარის აღმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის რწმუნებულმა დავით გოგოლაძემ. 1200 მეტრზე მდინარის კალაპოტი ოთხი მეტრით გაგანიერდა, სიღრმე კი სამ მეტრამდე ამოღდა, რაც იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ ეს მდინარე, ადიდების დროს, აღარ იქნება საშიში.

ქალები რომ პოლიტიკურ ღიღერებად ჩამოყალიბდნენ

დასრულდა პოლიტიკური პარტიების ლიდერი ქალების პროგრამის რიგით მეოთხე, ბოლო ტრენინგი. 1-2 ივლისს გამართული ტრენინგის თემა იყო ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეების როლი მართვის პროცესში. პოლიტიკური პარტიების ლიდერი ქალების პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოტენციური კანდიდატების მომზადებასა და ქალების პოლიტიკურ ღიღერებად ჩამოყალიბებას. ტრენინგის და-



სასრულს, მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, ნიშნად მათი ნაყოფიერი მონაწილეობისა პროექტში. პროგრამაში მონაწილეობდნენ ლიდერი ქალები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან, მათ შორის: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, მრეწველობა გადარჩენს საქართველოს, კონსერვატიული პარტიიდან და ოპოზიციური პარტიებიდან. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ირინე გულაშვილი.

სექტემბერში პატარებს განახლებული საბავშვო ბაღი დახვდებათ

„ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“... ეს დევიზი, რომელსაც ალბათ დიდი ხნის ისტორია აქვს, ნებისმიერ ეპოქაში აქტუალურია და თუ რომელიმე ქვეყანა მას სამოქმედო პროგრამად არ გაიხდის, ამ ქვეყანას მომავალი არც აქვს. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის ეს დევიზი ცხოვრების წესად იქცა და მომავალი თაობისთვის ბევრი სასიკეთო რამ კეთდება. ასეა ხაშურის მუნიციპალიტეტშიც და ამის დასტური თუნდაც საბავშვო ბაღებზე მზრუნველობაა. სადაც ბავშვების აღზრდის სასწავლო პროცესი თუ კვება მთლიანად ფინანსდება. რაც მთავარია, ყველა არსებული საბავშვო ბაღი ან ახლიდან შენდება ან მთლიანად რემონტდება, სადაც ბავშვებს სრული კომფორტი ელთ. ასე იქნება მაისის ქუჩაზე მდებარე V საბავშვო ბაღშიც, სადაც სრული რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოები, რომლებსაც ელექტრონული ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ამავი“ ასრულებს, სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება.



სასწრაფო სამედიცინო ცენტრი აგვისტოს თვეში ახალ ოფისს მიიღებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ქალაქ ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე, ე.წ. „სტატისტიკის შენობის“ რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. გარემონტებული შენობა უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს გადაეცემა. სამუშაოები, რომლებსაც შპს „გურო“ აწარმოებს, აგვისტოს შუა რიცხვებისთვის დასრულდება.



მდინარე ქერათხეუდას კადაპოცი გაინშინდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ქერათხეუდას კადაპოცის 200 მ-იანი მონაკვეთის მოწესრიგების სამუშაოები დასრულდა.



სამუშაოები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით განხორციელდა.

მცირე მდინარე საშიში რომ არ იყოს

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მდინარეების კადაპოცების წმენდის პროექტის ფარგლებში, სოფელ პატარა სატივეში მდინარე სურამულას კადაპოცის მონაკვეთის წმენდის სამუშაოები მიმდინარეობს. უხვი ნალექის დროს, მდინარის კადაპოციდან წყალი გადმოდიოდა, იტბორებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და საკარმიდამო ნაკვეთები. სურამულას კადაპოცის გაწმენდა კი დატბორვის საფრთხის რისკებს შეამცირებს. სამუშაოებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, შპს „ალიანსი+2007“ ახორციელებს.



ახლა ხშირად გაიგონებ ე.წ. თანამედროვე „ინტელექტუალებისგან“ პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული ანაქრონიზმია და ჩამორჩენილობაო. აბა, რისი სიყვარული და ერთგულება უნდა ვასწავლოთ მოზარდ თაობას-მეთქი, მიკითხავს მათთვის. კაცობრიობის სიყვარულიო, – უპასუხიათ, – რადგან მსოფლიო მოქალაქის აღზრდაა ჩვენი მიზანიო.

ვაი, თქვენს პატრონს-მეთქი, მითქვამს მათთვის, გულში კი არა, ხმამაღლა! უვიცობა მოსაწონი არ არის, მაგრამ მებრძოლი უვიცობა უბედურებაა. ასეთი მებრძოლი უვიცობაა დღეს გალაღებული და წახალისებული ჩვენშიც და სხვაგანაც, ამიტომ მიეჩანება კაცობრიობა უფსკრულისკენ, თუ სასწაულმა არ შეაჩერა იგი...

ადამიანი, რა თქმა უნდა, კაცობრიობის ნაწილია, მაგრამ მისთვის თავის მიკუთვნება და მისი სიყვარული ათიოდე კაცმა თუ შეძლო მთელი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. კაცობრიობის სიყვარულამდე მისვლაა საჭირო. საამისოდ გრძელი და რთული გზა უნდა განვლო.

იცის ეს ჩვენმა გონიერმა მკითხველმა, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ჩემს თავს (და იქნებ ვინმე სხვასაც!) ის, თუ როგორ ვაღიბდება მიკუთვნებულობის განცდა და შეგნება ადამიანში:

ახალდაბადებული ბავშვი ჯერ თავს მიაკუთვნებს დედას (ან იმას, ვინც ზრდის), მერე მამას, ბებია-ბაბუას, და-ძმებს, ოჯახს, უახლოეს მეზობლებსა და მეგობრებს, გვარს, სოფელს, ქალაქს და ა.შ. მიკუთვნებულობის უმაღლესი ხარისხია ერისა და სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობა. მერე, თუ იმხელა



კულტურას ეზიარე და ნიჭმაც შეგიწყო ხელი, შეიძლება მიაკუთვნო კაცობრიობას. შექსპირმა შეძლო ეს, შოთა რუსთაველმაც! სხვას ვერ ვისხენებ ამჯერად, მაგრამ ის, რომ მოზარდის პიროვნებაში პირდაპირ კაცობრიობის სიყვარულის ჩანერგვა სცადო, მაშინ, როდესაც თავისი ოჯახისა და ქალაქის სიყვარული არ უსწავლია, პიტალო სისულელე და კრეტინობაა.

აი, სწორედ ასეთი სულელები არიან ისინი, წარსულს რომ ებრძვიან და ივიწყებენ; იმ უბედურებს, ასე ჰგონიათ, მათგან იწყება ნამდვილი ისტორია და მომავალი თაობის მეხსიერებამაც ათვლის წერტილი მათგან უნდა აიღოს. ასე ეგონათ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემოქმედებს, ასევე ფიქრობდნენ ბოლშევიკური რევოლუციის კომისრები და ამავე ჭკუაზე არიან მათი დღევანდელი იდეური შთამომავლებიც. არ გამოვიდა იმათი ფიქრებიდან არაფერი და არც ამათგან გამოვა რამე. ესენიც უკვალოდ გადაშენდებიან, მაგრამ თუ წინ არ აღვუდგებით, შეიძლება ბევრი ღირებული გადაიყოლონ თან.

ვინც წარსულს პისტოლეტს ესვრის, მომავალი ზარბაზნით გამოეპასუხებაო, – გასულ საუკუნეში თქვა ეს ერთმა ბრძენკაცმა. მანამდე კი, კარგა ხნით ადრე, ლაიბნიცმა დაგვიბარა: აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისაო. ჭეშმარიტად ასეა!

წარსული რაღაც აბსტრაქტული მოვლენა არ არის. იგი ადამიანებისა და მატერიალური საგნებისგან შედგება, რომლებიც გვზრდიან და გაზრდიან მომავალში სხვებსაც. ისეთი უბედურება თუ დაგვემართა, რომ ჩვენი წარსულიდან (ანუ მეხსიერებიდან!) გაქრნენ ადამიანები და საგნები, რომელთა მიხედვითაც ვიკვლევდით გზას წარსულშიც და აწმყოშიც, ადარც მომავალი გვექნება მაშინ. მანქურთობაც ეს არის, სწორედ, რაც ყოველთვის ეწადა მტერს ჩვენთვის.

სიტყვა გამიგრძელდა, რისთვისაც ბოლიშს ვუხედი მკითხველს!

ახლა მოკლედ ვიტყვი იმაზე, რამაც ეს წერილი დამაწერინა...

ყველა ქალაქი თავის წარმოშობას, განვითარებასა და საზოგადოებრივ ცნობადობას, რაიმე საგანს, მოვლენას ან პიროვნებას უკავშირებს და სწორედ ის საგნები, მოვლენები და პიროვნებები იქცევიან ხოლმე მათ სიმბოლოებად. მომავალი მოქალაქეები ამ სიმბოლოების პატივისცემითა და მოწიწებით იზრდებიან და შემდგომში ამყობენ მათით. ასეა ყველგან: თბილისის სიმბოლო ვახტანგ გორგასალია, რომისა – ძუ მგელის ძუძუთი დაზრდილი ძმები – რომული და რემი, ათენისა – აკროპოლი, პარიზისა – ეიფელის კოშკი, ბერლინისა – ბრანდენბურგის კარიბჭე და ა.შ.

ყველამ იცის, რომ ჩვენი ქალაქის წარმოშობა რკინიგზას უკავშირდება. იგი იმთავითვე იქცა რკინიგზის მნიშვნელოვან საკვანძო პუნქტად და მთელი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა, როგორც რკინიგზელთა ქალაქი. ამიტომ, ჩვენი ქალაქის სიმბოლოს გამოგონება არ დასჭირდება: რკინიგზა იყო და არის მისი სიმბოლო!

მთელმა ქვეყანამ შეიტყო, როდესაც მწვობრში ჩადგა პირველი ელექტროფიცირებული სარკინიგზო მონაკვეთი ზესტაფონი – ხაშური და პირველმა ელმავალმაც სწორედ აქ გაიარა. მაშინ გაჩნდა პირველი საელმავლო დეპო იმდროინდელ უზარმაზარ საბჭოთა კავშირში. სხვათა შორის, იმდროინდელ მსოფლიოში ელექტროფიცირებული სარკინიგზო ხაზები მხოლოდ საფრან-

გეთსა და იტალიაში იყო. მერე შემანქანებმა არაერთი სასახელო ფურცელი ნაწერეს რკინიგზის ტრანსპორტის ისტორიაში...

სრულიად ბუნებრივია და სამართლიანი, რომ პირველი ელმავალი, რომელიც საბჭოთა კავშირში დამზადდა (ნოვოჩერკასკში!) ხაშურის საელმავლო დეპოს გადაეცა. როდესაც ამ ელმავალმა თავისი დრო მოჰკამა, ფიზიკურად და მორალურად მოძველდა, სამიმოსვლო გზების მაშინდელი მინისტრის ბრძანებით, იგი სამუდამოდ გადაეცა ხაშურს, როგორც რკინიგზის ელექტროფიკაციის პიონერს. აი, ის ელმავალი დგას მემორიალურ ძეგლად ხაშურის სადგურთან, ბაქანის ბოლოში, გამოსაჩენ ადგილას, როგორც რკინიგზელთა ქალაქის სიმბოლო. იგი იმ ადამიანებისადმი პატივისცემის გამოხატულებაც არის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს და ახლაც შეაქვთ ქალაქის განვითარებაში.

მერე და, როგორ ვეძვევით ჩვენი ქალაქის წარსულისა და აწმყოს ამ მრავლისმეტყველ სიმბოლოს?

მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი მეჯავრება და პირდაპირ ვიტყვი: უდიერად! უკულტუროდ! ბარბაროსულად!

ან წარსულისადმი პატივისცემა დაგვარგეთ, ან წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ფეხებზე გგკიდია! ამის გამო, მომავალი რომ ჩვენ თვითონ დაგვიკიდებს ფეხებზე, ამაზე დაფიქრებისათვის არ გვცალია! დაგვიკიდებს კი, ნამდვილად!

შეხედეთ, რას ჰგავს სიმბოლოდქცეული ელმავალი: ფანჯრებხალეწილი, გაქუცულ-გახუნებული, გაუბედურებული! შარშან გადაღებებს ვითომ, მაგრამ ახლა ისეა სახედაკარგული, იფიქრებ, საუკუნეა მღებავის ფუნჯი არ მიკარებიო. სად იშოვეს, ნეტავი, ასეთი უხარისხო საღებავი? ნამდვილად საგანგებოდ აქვთ ნაშოვნი, თორემ ელმავალს რომ შეღებავენ სარემონტო ქარხანაში, მერე ათი წელი ახალივით გამოიყურება. მაგრამ...

ახლა ნახეთ რა უქნიათ ვიღაც ტვინნადრძობებსა თუ ბოროტ-მოქმედებს! რა მიუჯღაბნიათ, რა მიუწერიათ ელმავლის გვერდებზე, თანაც ინგლისურად! რატომ? ეს უხამსობა რეზონანსული რომ გამოინდეს, იმიტომ! კედელზე მიჯღაბნილ სვასტიკას თარგმნა არ სჭირდება.

ბავშვები ამას ვერ იზამდნენ. წარწერები თუ ნაჯღაბნი იმდენად მაღლაა, რომ კიბის გარეშე ყველაზე მაღალი კაციც ვერ მიწვდება. ორგანიზებულად არის გაკეთებული ეს! ვიღაცას უნდა ეს ელმავალი რაღაც უბედურების სიმბოლოდ წარმოაჩინოს, აბუჩად აიგდოს, დააუწნოს, რომ მერე მისი აღება მოითხოვონ! დიდი კრიმინალისტობა არ არის საჭირო იმის დასადგენად, რომ ამ ბოროტების ორგანიზატორებს არავითარი პოლიტიკური მოტივაცია არ ამოძრავებთ. ჯართად უნდათ მისი ჩაბარება და ეგ არის! მათ ხაშურის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ფეხებზე ჰკიდიათ და არც მომავალი თაობის ბედი ანადვლებთ!

ეს კი ასეა და თითო-ოროლა გარეწარი ყველა ქალაქში მოიტეხნება, მაგრამ საზოგადოება მართლა აღარ არის ხაშურში? რკინიგზა ხაშურში უპატრონოდ არის მიტოვებული? ადარც ხელისუფლება და ადარც ადმინისტრაციული ორგანოები არ არიან, თუ ძალიან ბევრი საქმე აქვთ და ასეთი „წვრილმანები“ მხედველობიდან გამორჩათ? იქნებ მათაც ბოროტების სიმბოლოდ მიანიათ ქალაქის სიმბოლოდ ქცეული ელმავალი? თუ ასეა, მათ გასაგონად ვიტყვი:

ხაშურის რკინიგზის სადგურის ბაქანთან მდგარი მემორიალური ელმავალი არც საბჭოთა კავშირის სიმბოლოა და არც კომუნისტებისა და მითუმეტეს, არც ფაშიზმისა; იგი ნორმალური ადამიანის ტვინში არც ოკუპანტის ასოციაციას იწვევს და არც სოციალიზმის ნოსტალგიას (ამ ნოსტალგიას სხვა რამე იწვევს და ძალიან მძაფრადაც!). იგი ჩვენი ქალაქის წარსულისა და აწმყოს სიმბოლოა, რომელიც მიმართულია მომავალზე. იგი იმ ღირსეული ადამიანების ხსოვნის გაკრისტალუებული თვალსაჩინოებაა, რომელიც პატიოსან და სრულ ჭკუაზე მყოფ ადამიანებში ჩვენი ქალაქისადმი პატივისცემის შეგნებას ნერგავს!

და თუ თქვენ მაინც გადაწყვეტთ, რომ გარეწრების დროებით გასახარებლად ჯართად დაჭრათ იგი, მომავალი თაობისგან (რომელიც შორს არ არის!) შეჩვენება არ აცდდებათ და არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აცდდებათ ისტორიული ძეგლის განადგურებისთვის!

ზურაბ ცუცქირიძე, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი



მკითხველს მოეხსენება, რომ „ხამყრის მთაბზე“ ხშირად სტუმრობს ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებს და აქტიურად ეცნობა შესრულებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილ პროექტებს. ეს ვიზიტები კვლავ გრძელდება და ჩვენი შემდეგი გახიზნება ერთ-ერთი გამორჩეული და საკმაოდ დიდი პოტენციალის მქონე ცხრაბუხა იყო. ჩვენი სოფელში მოგზაურობის გილობა ცხრაბუხის დამოუკიდებელმა დეპუტატმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა პავლე ლაცაბიძემ ითავა. ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ცხრაბუხაში არასოდეს ვყოფილვარ და ჩემწინ გადაშლილმა სილამაზემ გამაოცა. საზაფხულოდ გადამწვანებული, აზიდული მთებით შემორავული სოფელი ნამდვილი სამოთხე იყო. პირველად, ბატონმა პავლემ საკუთარ ხეხილის ბაღებში წაგვიყვანა – უკვე სამი წლის ნაზარდი ქლიავის ხეები დავათვალიერეთ – წელს მოსავალსაც მოგვეცემსო – საოცარი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა. განსაკუთრებული ენთუზიაზმი, რომელიც ძალიან იშვიათია მხოლოდ ერთეულებისთვისა დამახასიათებელი. დაკვირვება არც დაგვირდებოდათ, ისე ადვილად შეამჩნევდით, როგორ უყვარს თავისი სოფელი, ყოველი კუთხე, ყოველი ხე – ცხრაბუხის პაერი. მოვიხანსულეთ

ბუდ სამუშაოებზე? რომელ მნიშვნელოვან აქციებს გამოპყობდით?
 – დავიწყებ იმით, რომ მთელს სოფელში დასრულებულია გაზიფიცირება. მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ სოფელში „სილქნეტი“ ჩაერთვება, ვფიქრობ, თითოეული მოსახლე კმაყოფილი უნდა იყოს. გარე განათებით მთლიანად უზრუნველყოფილია ცხრაბუხა. მოწესრიგდა სოფლის ცენტრიც, მოეწყო სკვერები, დაირგო ყვავილები. საბჭოთა კავშირის დროინდელი გაუქმებული ამბოლატორია იდგა ცენტრში, რომე-

კაცი, რომელიც ბრუნავს სოფელზე

ლიც ნამდვილი ანტისანიტარის კერა იყო. დემონტაჟის შემდეგ კი სოფელმა იერსახე ნამდვილად გაიუმჯობესა. სოფლის პროგრამის ფარგლებში იგეგმება თანამედროვე ტიპის საბავშვო სკვერის მოწყობა და ასევე ბიბლიოთეკის მშენებლობაც, თუ ფინანსები არ იქნება საკმარისი უშუალოდ ბიბლიოთეკის დასრულებისათვის, საკუთარ სახსრებს აუცილებლად გამოვიყვით. თავგეუმი გავაკეთეთ სადრენაჟო სისტემა, წლების მანძილზე ყანები უტბორდებოდა მოსახლეობას და, შეძლებისდაგვარად, მოვუგვარეთ ეს პრობლემა. თუმცა, დღემდე რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სასმელი წყალი და კანალიზაცია. არ არის გაყვანილობა, რის გამოც ოჯახებს საკუთარ სახლებში აქვთ მოწყობილი, ე.წ. სადრენაჟო სისტემა. რაც შეეხება სასმელ წყალს ამ საქმეში უკვე წინსვლა გვაქვს. ამ წლის ბოლომდე შევძლებთ ამ პრობლემის მოგვარებას. ამჟამად, მოსახლეობა ჭკბით სარგებლობს, რომელიც ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ასევე ჩავატარეთ სამელიორაციო სამუშაოები. გაიჭრა

შემიძლია – კონსულტაციითაც და ფინანსურადაც. ერთი კვადრატული მიწაც არ უნდა იყოს დაუმუშავებელი. დღეს გლეხებს არ აქვთ საშუალება, ოჯახსა და მოლიანად გადართული და იმის ფუფუნებას არ აძლევენ თავს, გრძელვადიან პერსპექტივებზე იფიქრონ. სწორედ ამისათვის მოვიფიქრეთ სანერგე მეურნეობა. ჩვენ გამოვიყვანეთ 30 ათასი ძირის შემდეგი კულტურები: ბროკოლი, ორი სახეობის პომიდორი, წიწაკა ორნაირი, ეგრეთწოდებული, ბულგარული წიწაკა, ვარდისფერი და წითელი. და ამ ყველაფერს ვაკეთებთ ტესტის სახით, ასე ვთქვათ, ვცდით. ნაწილი დავურიგეთ ახლობლებს სრულიად უსასყიდლოდ, და გარკვეული რაოდენობა ჩვენთვისაც დავრგეთ. ახლა, რა კულტურებიც თქვენ დაათვალიერეთ, ამან გაამართლა, ძალიან კარგი პომიდორი და წიწაკა მოვიდა.

- მომავალი წლიდან როგორ აპირებთ მოსახლეობისთვის ამ ინიციატივის შეთავაზებას?

- კვლავ უკვე ვაპირებ, რომ ყველა ოჯახს დავურიგოთ ეს ნერგები, თუმცა, წინასწარვე შესწავლილი გვექნება, შეძლებს თუ არა გლეხი მოვლას, რამდენად ნაყოფიერი ნიადაგი აქვს. აუცილებლად მივაყვანინებთ ბოლომდე მოსავლის მოვლისა და მიღების პროცესს, მივცემთ გლეხს უკვე ფესვთა სისტემით მოწყობილებს ნერგებს, რომელიც აუცილებლად გაიხარებს. უფასოდ მივცემთ ასევე შხამქიმიკატებს და როცა უკვე მოსავალს მიიღებს, ჩვენი გაწეული თანხების ექვივალენტით დავგიბრუნოს პროდუქცია. თუ მისი სურვილია თანხით ჩავგაბაროს. ასევე ხშირია შემთხვევები, რომ გლეხები ამჯობინებენ იაფი წამლის ყიდვას შესაწამლად, რაც არასწორია. აქედან გამომდინარე, უმადლესი ხარისხის წამალსაც ჩვენ ვაძლევთ. თუ მისი სურვილია, თანხით ჩავგაბაროს. დარჩენილ პროდუქციას გამოიყენებს საჭიროებისათვის, თუ არადა, ჩავგაბაროს წარმოებაში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ წლის განმავლობაში დაახლოებით ასი ათასი ტონა პროდუქცია მივიღოთ საწარმოში. აქვე აღვნიშნავ, რომ პომიდორი ყველაზე ადვილი გადასამუშავებელია. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში დავამზადებთ ნახევარფაბრიკატებს ან ე.წ. ტომატ პასტებს.

- როგორც ვიცი, სოკოსაც აწარმოებთ...

- დიახ, წელს გავაკეთეთ სოკოს წარმოება – სპილოს ყურა სოკოს ეძახიან, რომლის წარმოებამ ნამდვილად გაამართლა. 4 ათასი ტონარა იყო ჩამოკიდული. ანუ ტონარაში ყრია ნამჯა და აქ დვივდება თესლი და სხვათა შორის, ძალიან ღამაზი სანახავია, ტონარა მთლიანად დაფარულია სოკოებით. შესაძლებელია, ზრდის პროცესი თავადვე აკონტროლო, მაგალითად: გააღო ფანჯარა და ზრდას შეწყვეტს, ორი თვის შემდეგ ისევე დაათბობ და კვლავ გაიზრდება. მარხვის პერიოდში, როდესაც სოკოზე დიდი მოთხოვნაა, სწორედ ამ ხერხს იყენებენ. რეალიზაციის პრობლემა საერთოდ არ ყოფილა, ძალიან ადვილად გაიყიდა ადგილობრივ ბაზარზე.

ჩემი ინიციატივაა, რომ ყველა სოფელმა გააკეთოს მინიქარხანა საკუთარი სოფლისათვის. ვფიქრობ, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ხალხს დაეხმარება, სტიმული იქნება მათთვის, შიში აღარ ექნებათ იმისა თუ სად წაიღონ მოწყველი მოსავალი. მაგალითად, ჩემი საწარმო 5 სოფელს მოემ-



სამებისა და ნათლისღების სახელობის ტაძარები. დედა ანისია გავიციანთ – მადლიანი. მისი ღოცვა-კურთხევა, ალბათ, მთელი ცხოვრება გაგვეყვება. არ უყვარს ლაპარაკი საკუთარ, უდიდეს წვლილზე ცხრაბუხის ტაძრების შენება-რესტავრაციაში და კედლების ფრესკებით მოხატვაში, თუმცა, თითქმის ყველამ იცის, რომ ეს სწორედ მისი უშუალო ინიციატივითა და დაფინანსებით ხდება. აღსანიშნავია, რომ ცხრაბუხის თემში 17 წმინდა სალოცავია, ეს კი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მადლიანი სოფელია, დალოცვილი. რამოდენიმე მათგანი მოვილოცეთ კიდევ. დავათვალიერეთ წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები. გადმოცემის თანახმად, წმინდა ნინოს სწორედ ამ ადგილას შეუსვენია და შემდგომში ტაძარიც ააგეს. აქტიურად მიმდინარეობს ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიის მშენებლობაც, რომელშიც სოფლის ახალგაზრდობაცაა ჩართული, არ ერიდებიან ფიზიკურ შრომას. როგორც ჩანს, თანასოფლელებიც არანაკლები მონდომებით გამოირჩევიან. ბოლოს, ბროკოლის სატესტო მეურნეობაც დავათვალიერეთ. – ხვავრიელი მოსავალი დაგვხვდა. ადგილზე ბატონი პავლეს სანერგე მეურნეობაში დასაქმებული ილო ეკალაძე და ჯიმი ცერცვაძე დაგვხვდნენ, რომლებმაც, ასე ვთქვათ, „პირველი ხელი“ ბროკოლი დაგვიკრიფეს და თან გამოვვატანეს.

„სოფლის შენებას რა უნდაო“ – ნათქვამია, მაგრამ ნამდვილად ბევრი რამ უნდა, გარჯა უნდა, მონდომება, აგურის აგურზე დადება. საუკეთესო შედეგის მისაღებად დროც სჭირდება და მოთმინებაც. ასეც უნდა იყოს, ჩვენ ხომ აგრარული ქვეყანა ვართ, მიწათმოქმედება ოდითგანვე მოგვსდევს ამიტომაც, ძლიერი საქართველო – ღონიერი სოფელია. ძლიერი სოფლის მეურნეობა ჩვენი რაიონის პრიორიტეტი უნდა იყოსო, აღნიშნა კიდევ ბატონმა პავლემ საუბარში.

ცხრაბუხაში საინტერესო სტუმრობის შემდეგ ბატონ პავლესთან ინტერვიუც ჩავწერეთ. დაწვრილებით მოგვიყვა სოფლის ცხოვრებაზე, წარმატებულ აქტივობებზე, პრობლემებზე და დაგეგმილ პროექტებზე, რომელიც ცხრაბუხას ეუროპულ სოფლად გადააქცევს. წარმატება მას ამ დიდებულ საქმეში!

- ბატონო პავლე, გვიამბეთ სოფელში ნელს ჩაფარე-

სარწყავი არხები, გასულ ხანებში ახალგაზრდობის ჩართულობით ცხრაბუხის სტადიონისა და ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე 80 ძირი მუხის, წიფლისა და ნეკერჩხლის ნერგები დაირგო. წინასწარ შემოიღობა ტერიტორიაც, რომელიც ახალ დატვირთვას შეიძენს, რამდენიმე წელიწადში ხეები გაიზრდება და მცხოვრებთათვის ერთ-ერთ საყვარელ, დასასვენებელ ადგილად იქცევა. ნერგები სატყეო დეპარტამენტმა გადმოგვცა.

- გვიამბეთ უფრო დეტალურად სანერგე მეურნეობის შესახებ? როგორც ვიცი, იდგა თქვენ გეკუთვნი და განახორციელეთ კიდევ.

- ჩემი უმთავრესი მიზანი და პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის აღორძინებაა. დეტალურად მაქვს შესწავლილი გასულ წლებში რომელი კულტურების მოსავალი ხარობდა უკეთ. რომელი სოფლის ნიადაგი იყო იდეალური კარგი მოსავლის მისაღებად. რაც შეეხება ჩვენ სოფელს, კარგად მოდის პომიდორი, ბულგარული წიწაკა, ხახვი, ვაშლის და ქლიავის კულტურები. სხვათა შორის, ქლიავი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხეხილია. ჩვენც, რა თქმა უნდა, ამ პროდუქტების მოყვანისკენ ავიღეთ ორიენტირაცია. ჩემი სურვილია, ყველა მოსახლემ გააშენოს ასეთი ხეხილის ბაღები. თუმცა, როდესაც მათ ამ ინიციატივის შესახებ ვამცნობ, მეკითხებიან თუ როგორ მოახდინონ მოყვანილი მოსავლის რეალიზაცია. იმისათვის, რომ მოსახლეობას ეს კითხვა აღარ გასჩენოდა, ჩვენ ავაშენეთ საწარმო, რომელიც გადაამუშავებს და გააკეთებს ჩირს, საწარმო თითქმის ბოლომდეა აშენებული, გარკვეული სამუშაოებია დარჩენილი. სხვათა შორის, ამ შენობის აშენების შემდეგ ძალიან ბევრს გაუჩნდა სურვილი ამ კულტურის გაშენების, მეც, ჩემი მხრიდან, ვეხმარები როგორც



სახურება. ამ სანერგე მეურნეობაზე 5 კაცია (დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

დასაქმებულ და საქმის განვითარებასთან ერთად, ეს ციფრი რა თქმა უნდა გაიზარდება. მომდევნო ეტაპზე, ახალი წლიდან, ჩავიწერთ გამოყვანილი ნერგების, მსურველების, მაგრამ სანამ ნერგებით დავაკმაყოფილებდეთ, მასთან

კაცი, რომელიც ბრუნავს სოფელზე

აუცილებლად გავგზავნი დაქირავებულ აგრონომს, რომელიც გაერკვევა თითოეულ დეტალში, დაათვალიერებს ნიადაგს, გასარწყავების სისტემებს. თუ დადგინდება, რომ გლეხს სათანადო პირობები აქვს, ამ ნერგებს მივცემთ. მსურველები უკვე საკმაოდ ბევრია და ჩვენც, სავარაუდოდ, ვადგენთ რამდენიმე ნერგი უნდა გამოვიყვანოთ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ნერგების ზრდის პროცესში გლეხს შეუძლია აგრონომთან უფასო კონსულტაციების გავლაც.

- დიდ ყურადღებას აქცევთ წყლის რეგულაციას?
- ხაშურის რაიონს ყველა პირობა აქვს, რომ ტურიზმი განვითარდეს. მქონდა შეხვედრები რამდენიმე ტურისტული კომპანიის წარმომადგენელთან.

ან. სასურველი იქნება, რომ გაცნობითი სახის ვიდეო რგოლი მომზადდეს ხაშურზე, რომელიც უკეთ გააცნობს დაინტერესებულებს ჩვენს ტურისტულ პოტენციალს. სასურველია, მოეწიოს ტურისტული ბილიკები კოდიწყაროს ტბის ტერიტორიაზე. სამომავლოდ უამრავი ინიციატივა და პროექტი მაქვს, რომლის განხორციელებასაც აუცილებლად შევძლებთ.



თ. ახადაცი

I ივლისს, სურამში, ბაიანთხევის ტყე-პარკში, ფოლკლორული ფესტივალი „არტ-გენი“ გაიმართა. ფესტივალზე უამრავი ხელნაკეთი ნივთი იყო გამოფენილი, მათ შორის, ქალბატონ თამარ გოგატიშვილის თექის ნამუშევრები და მისი მოსწავლის თამაზ ბიჭიკაშვილის მიერ დაწერილი ხატები, რომლებიც სხვა უნიკალურ ნივთებთან ერთად ნამდვილად მოგზიბლავდათ, მაშინვე გაგვიჩნდა სურვილი მათთან ამ

დიდი სიახლოვეთი გვიამბო თავისი გატაცების, ძირითადი პროფესიის შესახებ.

- ქალბატონ თამარ, მოგვიყვით თქვენი საქმიანობის შესახებ? როდის დაინტერესდით თქვით?

ხელოვანი, პედაგოგი, აღმზრდელი

- უკვე 8 წელია თქვის ნივთებს ვაკეთებ. გახსოვთ ვეზიუპერის სიტყვები: „ჩვენ, ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვიდვართ“ - ჭკუში არტიკულად ასეა, ბავშვობიდანვე განსაკუთრებით მიყვარდა ქსოვა, ქარგვა, ხატვა, როდესაც ჩემს ნაქარგს ან მოქსოვილს მომიწონებდნენ, უსახდუროდ მიხაროდა. ვაკეთებდი სხვადასხვა აპლიკაციებს, ბავშვურ ფანტაზიას ვიშველიებდი. საერთოდ, ქალის ხელნაკემდე რაც ითვლებოდა, ყველაფერი მეხერხებოდა. შემდგომ უკვე სკოლაში, გახსოვთ ალბათ, ხელგარჯილობის გაკვეთილები გვიტარებდნენ და ხშირად იყო ჩემი ნამუშევრების გამოფენა, ჩემი მასწავლებლებიც ძალიან მეხმარებოდნენ, გრძობდნენ ჩემს განსაკუთრებულ დაინტერესებას. მომავალ პროფესიადაც ხელოვნება ავირჩიე და ახლა, ბედნიერი ვარ, რომ ამ პროფესიით სოფელ ხცისის ივანე ხრიკულის სახელობის საჯარო სკოლაში პედაგოგად ვმუშაობ. ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ჩემი მოსწავლეები, ვცდილობ, მათაც ადრეულ ასაკშივე გავეუღვიძო ხელოვნებისადმი სიყვარული, დიდ ბედნიერებას მანიჭებ მათი პატარა ხელებით შექმნილი ნამუშევრები. წავახალისებ ხოლმე, გარდა ამისა, ბავშვები დამყავს მუზეუმში, ისტორიული ძეგლების სანახავედ, თეატრში, სხვადასხვა კონცერტებზე, რადგან თანამედროვე ახალგაზრდა წარმოუდგენელია ზოგადი განათლების გარეშე. რა თქმა უნდა, ცხოვრება აჩვენებს მათ, თუ რა პროფესია აირჩიონ სამომავლოდ, მაგრამ ზოგადი ცოდნა აუცილებლად უნდა ჰქონდეთ, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეროვნული ტრადიციების შესახებ. ვფიქრობ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ასეთი მიდგომით, ბავშვი განსაკუთრებით ინტერესდება ხელოვნებისადმი სიყვარულით. მასწავლებელს საქმიანობაზე დამოკიდებულია ჯანსაღი და გონიერი მომავალი თაობის აღზრდა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ვცდილობ, ძალ-ღონე არ დავი-

შურო ამ მართლაც საპასუხისმგებლო საქმეში, ისევე, როგორც ჩემი სკოლის ყველა პედაგოგი და სკოლის დირექტორი ლელა ქვრივიშვილი. ძალიან თბილი კოლექტივი გვეყავს და ამ სიბოხს ვუნაწილებთ ჩვენს მოსწავლეებს. შედეგს კი ვიმკით, როცა ისინი ცხოვრების დიდ გზაზე გადიან და წარმატებებს აღწევენ, ეს სიახლოვებას გვანიჭებს.

- არც-გენზე შარშანაც იღებდით მონაწილეობას?

- არა, პირველად წელს მივიღე მონაწილეობა. გამოფენაზე გამოტანილი მქონდა თექისაგან გაკეთებული სურათები, „შარფები“ და ა.შ. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რაიონის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, რომ მომიწია ნამუშევრების გამოფენა. ფესტივალზე გამოფენილი იყო სხვადასხვა ეკლესიის დედაების მიერ შექმნილი ნამუშევრები და ძალიან გამიხარდა ჩემი რამდენიმე ნამუშევრის მათ გვერდით ხილვა.

- ფესტივალზე თქვენი მოსწავლეც გახდით...

- დიახ, თამაზ ბიჭიკაშვილი ხცისის სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. ხატმწერია, თვითნასწავლი. თავადაც ჰქონდა გამოფენილი სამი თავისი ნამუშევარი. როდესაც შევამჩნიე, რომ მას ხატვა განსაკუთრებით უყვარდა, ვურჩიე მასწავლებელთან გავერმაგებინა ცოდნა. მოგესხენებათ... ხატწერა ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ძალიან ნიჭიერია და დიდი მომავალი აქვს. თეორიული ცოდნა რაც შემქმნელი გაეუზიარე თამაზს, ხელოვნების კუთხით. რამდენიმე კონკურსშიც მივიღეთ მონაწილეობა. მაგალითად, „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“, რომელიც სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. რამდენიმე ეტაპის გადალახვის შემდეგ დაგვაჯილდოვეს დიპლომით. ასევე ნარკომანიის საწინააღმდეგოდ გამართულ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და როგორც საუკეთესო ნახატის ავტორი, რაიონის პროკურორმა ექვსკურსიით დაგაჯილდოვა და მოვიარეთ სამცხე-ჯავახეთი. თამაზი ნელ-ნელა ხეწის თავის ცოდნას, ვფიქრობ, აუცილებლად გაყვება ამ საქმეს.

წარმადებას ვუსურვებთ ქალბატონ თამარს და მის მოსწავლეს თამაზს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, არასოდეს დავიზარებთ ასეთი საინტერესო და ნიჭიერი ადამიანების თქვენთვის გაცნობას.

თ. ახადაცი



საკმაოდ რთული საქმიანობის შესახებ გვესაუბრა და შემდგომში მკითხველისთვისაც გვუამბო. ქალბატონ თამარს რედაქციაში შევხვდით, რომელმაც

ნობაზე დამოკიდებულია ჯანსაღი და გონიერი მომავალი თაობის აღზრდა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ვცდილობ, ძალ-ღონე არ დავი-

„ვიდრე შენ ხარ“...

„ვიდრე შენ ხარ, შენი სუნთქვა მათობს, აწ დათოვლილ თმებზე გეფერები“.. კლარა გელაშვილის ეს სიტყვები ამშვენებდა მოსაწვევს, რომელიც თითოეულმა 80 წელს მიღწეულმა და 80 წელს გადაცილებულმა ხანდაზმულებმა მივიღეთ.

26 ივნისს, ქვიშხეთის კულტურის ცენტრი გვეპატივებოდა, რათა მოგვგვრე-



ბოდნენ და კიდევ ერთხელ ეთქვათ, რომ სიბერე ზღვის ნაპირი არაა, სადაც ხშირ შემთხვევაში, მოქცევის შედეგად გამორიყულ ნივთებს გვერდს

უვლიან, თვალს არიდებენ და არ აფასებენ. სწორედ ამ ყოფიდან გამომ-

ვისმეს და გავგრძობინეს, რომ უჩვენოდ გადავშვებულა ლეთა თავქვეში...

უღრმესი მადლობა გვიანდა გადაგუხადოთ ამ ღონისძიების ორგანიზატორსა და სულისჩამდგელს ქალბატონ მანანა ჩხეიძეს, რომელმაც არაერთი ღამე საღამო გაუმართა ქვიშხეთელებს, მადლობა კულტურის ცენტრისა და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ყველა თანამშრომელს ამ ღამეზე დღესასწაულის მოწყობისათვის.

საღამო გაალამაზა ქვიშხეთის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მთაწმინდა“, მოხიბლული დაერჩით ჩვენი ახალგაზრდების მიერ ეროვნული ცეკვების უბადლო შესრულებით, რომელიც მათი ღირსეული პედაგოგის ბატონი ანდრო ტაბატაძის დიდი დამსახურებაა.

ყურს ატკობდა გოგონებისა და ბიჭუნების ფანდურზე შესრულებული ქართული მელოდიები, რომლის ხელმძღვანელიც ქალბატონი ხათუნა სისაურია.

კონცერტზე გამოვიდნენ ცალკეული შემსრულებლები: შოთა დარბუაშვილი, ვიორგი შუბითიძე, ვიორგი გრიგალაშვილი, უნა მჭედლიშვილი, ულამაზესი ლექსები წაიკითხეს: ნიკოლოზ რობაქიძემ, ნიკოლოზ ცხოვრებაშვილმა, თათია ლომიძემ, კესო მანჩხაშვილმა ანი ვიორგაძემ. სასიამოვნო მოსასმენი იყო ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ტაძრის მგალობლების მიერ შესრულებული საგალობლები.

არ შეგეშინდეთ! სიბერე უძღურება სულაც არაა, არა გვეგონია მოხუცად იწოდებოდეს ის, ვისაც ბოლომდე შერჩენია გრძობა მადლიერებისა, ნიჭი სიყვარულია და გული მარად ახალგაზრდული. ეს სიტყვები იყო ლაიტმოტივი მთელი საღამოსი, რომელიც შთაბეჭდილებებით აღსავსე გამოვიდა და რომელიც სულ გინდა, რომ არასოდეს დამთავრდეს.

მადლიერი „მოხუცები“

პაწარა პოეზის ნიგნის პრეზენტაცია

6 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლაში, ამავე სკოლის III კლასის მოსწავლეს, უნიჭიერესი ნუცა ჩიტაძის ლექსების კრებულის პრეზენტაცია შედგა, სახელწოდებით „მოვალ და მოგეფერები“. კრებულს ავტორისეული წინასიტყვაობა უძღვის: „წიგნი „მოვალ და მოგეფერები“ შექმნილი იმ იმედით, რომ მასში გადმოცემული აზრები გულში ჩამწვდომი ყოფილიყო, როგორც დიდებისათვის ასევე პატარებისათვის. დიდი გაიგებს – ბრძნულად, პატარა – ბავშვურად“.



ნუცა მართლაც საოცარ ლექსებს და ჩანახატებს წერს. რედაქციას კი არაერთხელ ჰქონია საშუალება ამ ნიჭიერებასთან ზიარების. ღონისძიებას ესწრებოდნენ

არასამთავრობო ორგანიზაციის „თანადგომა თანასწორობისათვის“ და ტურიტული კომპანიის „ჩაუცას თოურ“ წარმომადგენლები, რომელთა უშუალო დაფინანსებითა და მხარდაჭერით მოხდა ნორჩი პოეტის ლექსების კრებულის დაბეჭდვა. მათვე აღნიშნეს, რომ მოუთმენლად ელოდებიან ნუცას ლექსებს, რათა კრებულის მეორე ნაწილიც გამოვიდეს. პრეზენტაციაზე ნუცას თანასკოლელებმა კრებულიდან სავარგული ლექსები წაიკითხეს.

გარდა იმისა, რომ ნუცა I კლასიდან სკოლაში მოქმედი „სამოქალაქო განათლების კლუბის“ წევრია, ასევე ორგანიზაციამ „თანადგომა თანასწორობისათვის“ ასოციაციის საპატიო წევრად დაასახელა.



პრემიერა თოჯინების თეატრში

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრების გაერთიანებასთან“ არსებულმა თოჯინების თეატრმა „ბიჭი პანტიპოს“ პრემიერა წარმოადგინა. სპექტაკლმა, რომლის რეჟისორიც ლალი კახეთელიძეა, პატარა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

დემოკრატიული სკოლები - დემოკრატიის თანმდევი განათლების უკრები

6 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, ნიდერლანდების საერთაშორისო ორგანიზაცია NIMDI გორის ინსტიტუტის კოორდინატორმა ზაზა ჭიპაშვილმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა. ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობა NIMDI, ახორციელებს განათლების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც დემოკრატიის სკოლები საქართველოს 4 ქალაქში ფუნქციონირებს: ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი. დემოკრატიის სკოლები წარმოადგენს ინტენსიურ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის, მედიის პოლიტიკური პარტიების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების წარმატებული სტუდენტების და თანამედროვე დემოკრატიის საკითხებით



დაინტერესებული აქტიური მოქალაქეებისათვის. ბატონმა ზაზამ დემოკრატიის სკოლების მნიშვნელობაზე, ძირითად მისიაზე და სატრენინგო პროგრამის მოდულებზე ისაუბრა. პროგრამა 150 საკონტაქტო საათს მოიცავს. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ „ნიმდის“ მცირე გრანტების კონკურსში, ერთობლივ კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში. მონაწილეების შერჩევა აპლიკაციების და ინტერვიუების საფუძველზე მოხდება. ესაა პროფესიული გადამზადების სკოლა, რომელიც ორიენტირებულია ევროპული ღირებულებებითა და გამოცდილებით მიღებული, დაგროვებული ცოდნის გაზიარებაზე და მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

“ჯადოსნური ქადაქი” მსმენელს ხიბდავს

ახლახანს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის დარბაზში, მუსიკალურმა-თეატრალურმა წრემ საზაფხულო კონცერტი გამართა. სტუდია „ჯადოსნური ქადაქის“ მოსწავლეებმა, პედაგოგების; ინგა ხრიკაძის და ხათუნა ღვალაძის ხელმძღვანელობით, საინტერესო კომპოზიციები წარმოადგინეს და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.



D განცხადება

2016 წლის 5 ივლისის გაზეთ „ხაშურის მოამბეში“ (№25) გამოცხადებულ განცხადებაში შევიდა შემდეგი ცვლილება: ხაშურის რაიონის სოფ. გომის მიმდებარედ შ.პ.ს. „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის საწარმოს გზის-ანგარიშის საჯარო განხილვა ასევე გაიმართება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში(ტაბიძის ქ. №2) 2016 წლის 26 აგვისტოს, 15 საათზე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.